საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №163

თბილისი 05. 03 20/0

სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის და ამ კლასში შემავალი ცალკეული საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებზე ექსტერნად რეგიტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 5 მარტის №15/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულების" მე-7 მუხლების პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სრული ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასის და ამ კლასში შემავალი ცალკეული საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა ექსტერნად რეგისტრაცია დასრულდეს 2010 წლის 22 მარტამდე;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ–გვერდზე;

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს ამ ბრძანების გაცნობა საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დიმიტრი შაშკინი